International Journal of Social Sciences

Caucasus International University
Volume 4, Issue 1

Journal homepage: http://journal.ciu.edu.ge/

DOI: https://doi.org/10.55367/BJRI5469

Specifics and Features of the Animal as a Movable Registered Object

Tamar Kerdikoshvili [1]
PhD student, Caucasus International University

A B S T R A C T

Property rights are among the most important universally recognized rights, and they are regulated by Article 21 of the Constitution of Georgia. It should be noted that only legally acquired property is protected by Article 21 of the Constitution.
The state's obligation is to protect property rights and ensure the unhindered use of property.
The purpose of the legal system is to ensure the protection of universally recognized human rights and freedoms and the free development of each person. A person's free development is closely related to the realization of the property right. The goal of legal institutions is to protect universally recognized human rights and freedoms and the free development of all individuals.
The right of ownership, despite its absolute nature, is not unlimited. Still, the owner is bound by several aspects in the process of using the property due to the protection of the interests of other persons. One of the high-risk items is an animal eligible for registration. Although there is no unified position regarding the legal status of an animal, in practice, the legal status of an animal is equated to that of a thing. Since the animal does not fully meet the signs of a thing, and a different approach is established in relation to certain issues, it is appropriate to analyze the exemptions of the animal's legal status and identify the specifics related to the recognition of the animal as a thing. Since the animal does not fully satisfy the features of the thing, and a different approach is established with respect to some issues, it is advisable to analyze the exceptions to the animal's legal status and identify the specifics associated with the recognition of the animal as a thing.

Keywords: *Property rights, Movable registrable items, Legal status of animals*

[1] tamarkerdikoshvili777@gmail.com

ცხოველის, როგორც მოძრავი რეგისტრაციაუნარიანი ნივთის სპეციფიკა და თავისებურებანი

თამარ ქერდიყოშვილი
დოქტორანტი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ა ბ ს ტ რ ა ქ ტ ი

საკუთრების უფლება წარმოდგენს საყოველთაოდ აღიარებულ, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უფლებას, რომელიც მათ შორის რეგლამენტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით. აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის 21-ე მუხლით დაცულია მხოლოდ კანონიერი გზით მოპოვებული საკუთრება.

საკუთრების უფლების დაცვა და საკუთრებით შეუფერხებლად სარგებლობის უზრუნველობა წარმოადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას. საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებებისა თუ თავისუფლებების დაცვა და ყველა პიროვნების თავისუფალი განვითარება სამართლებრივი წესწყობილების მიზანს წარმოადგენს. პიროვნების თავისუფალი განვითარება თავის მხრივ მჭიდროდაა დაკავშირებული საკუთრების უფლებით სარგებლობასთან. საკუთრების უფლება ადამიანის არსებობის საწყის, საბაზისო, ელემენტარულ საფუძველთან ერთად მისი თავისუფლებას შესაძლებლობების ადეკვატურ რეალიზაციას უნარსა და საკუთარი ცხოვრების პასუხისმგებლობით წარმართვას უზრუნველყოფს.

მიუხედავად აბსოლუტური ბუნებისა, არ არის შეუზღუდავი, არამედ მესაკუთრე საკუთრებით სარგებლობის პროცესში შებოჭილია მთელი რიგი ასპექტებით, რაც სხვა პირთა ინტერესების დაცვით არის განპირობებული. ერთ-ერთ მომეტებული საფრთხის მქონე „ნივთს“ წარმოადგენს ცხოველი, რომელიც რეგისტრაციაუნარიანია. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ერთიანი პოზიცია ცხოველის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით, პრაქტიკაში ცხოველის სამართლებრივი მდგომარეობა გათანაბრებულია ნივთთან. ვინაიდან ცხოველი სრულად არ აკმაყოფილებს ნივთის ნიშნებს და ცალკეულ საკითხებთან მიმართებით დადგენილია განსხვავებული მიდგომა, მიზანშეწონილია ცხოველის სამართლებრივი სტატუსის თავისურებების ანალიზი და იმ სპეციფიკის იდენტიფიცირება, რაც უკავშირდება ცხოველის ნივთად აღიარებას.

საკვანძო სიტყვები: *საკუთრების უფლება, მოძრავი რეგისტრაციაუნარიანი ნივთები, ცხოველის სამართლებრივი სტატუსი.*

1. შესავალი

ათწლეულების წინ იყო დრო, როდესაც ადამიანს არათუ საკუთრების უფლების სურვილისამებრ გადაცემა შეეძლო, არამედ თავად საკუთრების უფლებაც არ გააჩნდა.

ცალკეულ შემთხვევაში საკუთრების უფლების გადაცემა არა მხოლოდ უპირატესობაა შემძენისთვის, არამედ წარმოადგენს არასათანადოდ შენახული ქონებისაგან მოსალოდნელი საფრთხეების პრევენციის ეფექტურ მექანიზმს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მოძრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემის რამდენიმე სახეს, მაგალითად, პირობადადებულ საკუთრებას, საკუთრების უფლების გადაცემას ფასიანი ქაღალდების მეშვეობით, საკუთრების შეძენას უპატრონო მოძრავ ნივთსა და ნაპოვარზე და სხვ. საკუთრების შეძენის ყველა ფორმას ახასიათებს გარკვეული სახის თავისებურებები და სირთულეები, რაც შემდგომში მხარეთა შორის სამართლებრივი დავის დაწყების მიზეზი შეიძლება გახდეს.

საკუთრების შეძენის სპეციფიკურ ობიექტს წარმოადგენს ცხოველი. არ არსებობს აზრთა ერთიანობა ცხოველის სტატუსისა და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ. ცხოველი კლასიკური გაგებით არ აკმაყოფილებს იმ ძირითად ნიშნებს, რაც ნივთისთვისაა დამახასიათებელი. ცხოველის როგორც რეგისტრაციაუნარიანი ნივთის თავისებურებების სიღრმისეული ანალიზი, მისი სამართლებრივი სტატუსის შესახებ არსებული მიდგომებისა გამოკვლევა და არსებული პრობლემების იდენტიფიცირება არსებით მნიშნელობას იძენს საკითხის პრაქტიკული მნიშვნელობიდან და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე. ამასთან, ცხოველის მომეტებული საფრთხის რისკის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია სავარაუდო მესაკუთრის, შესაბამისად, ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის იდენტიფიცირება. საგულისხმოა, რომ ხსენებული საკითხი არ არის გამოკვლეული, რაც აორმაგებს საკითხის კვლევის ინტერესს.

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანს წარმოადგენს ცხოველის სამართლებრივი სტატუსის იდენტიფიცირება, მასზე როგორც მოძრავ რეგისტრაციაუნარიან ნივთზე საკუთრების გადაცემასთან დაკავშირებული საკითხის ანალიზი, მათ შორის, არსებული სამართლებრივი ჩარჩოს გათვალისწინებით. იმ პრობლემების განსაზღვრა, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას ცხოველზე საკუთრების უფლების გადაცემისას.

კვლევის მეთოდოლოგია: საკითხის სიახლიდან გამომდინარე სიღრმისეული კვლევის ინტერესის მისაღწევად საჭირო გახდა არაერთი კვლევის მეთოდის გამოყენება, კერძოდ, შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდის ფარგლებში განხორციელდა საქართველოს კანონმდებლობის შედარება გერმანიის კანონმდებლობასთან, საკანონმდებლო რეგლამენტაციებს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებების იდენტიფიცირება და ამ

გზით კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება; ისტორიულ - შედარებითი მეთოდი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა საკითხის ისტორიული ანალიზი და კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების სისტემატიზაცია; ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, ასევე ფორმალურ - ლოგიკური კვლევის მეთოდი.

ლიტერატურის მიმოხილვა: ბოლო პერიოდის განმავლობაში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოძრავ რეგისტრაციაუნარიან ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს, რაც საქართველოში სათანადოდ არ არის დარეგულირებული კონსტიტუციურ-სამართლებრივი და ვალდებულებით-სამართლებრივი თვალსაზრისით. აღნიშნულიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში გაანალიზებულ იქნა სამართლის სფეროს ქართველ და უცხოელ ცნობილ თეორეტიკოსთა და მეცნიერთა მოსაზრებები და მიდგომები საკვლევ საკითხთან დაკავშირებით; როგორც შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ჩარჩო, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი რეგულაციები, სასამართლო პრაქტიკა და ლიტერატურა ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით.

2. შედეგების განხილვა

კვლევის შედეგად იდენტიფიცირებულ იქნა ძირითადი პრობლემური საკითხები, კერძოდ:

ცხოველის სამართლებრივი სტატუსის დახვეწის გზაზე საქართველოს კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია განსახორციელებელი, რომელთა ანალიზიც მნიშვნელოვანია განხორციელდეს მულტიდისციპლინური მიდგომით დარგის სპეციალისტების აქტიური ჩართულობით. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ცხოველისათვის პიროვნების სტატუსის მინიჭება არ არის მიზანშეწონილი მისი თვისებების გათვალისწინებით. ამდენად, გონივრულია სპეციალური სტატუსის განსაზღვრა ცხოველებისთვის, რომლის მიხედვითაც, მასზე შესაძლებელი იქნება საკუთრების ობიექტად მისი აღიარება, თუმცა, შეზღუდული იქნება სარგებლობისა და მოხმარების ფარგლები.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა ცხადყო, რომ ცხოველი არ არის მხოლოდ ნივთი, რომელიც შეიძლება იყოს სამოქალაქო ბრუნვის საგანი, არამედ ის არის სულიერი არსება, რომელსაც აქვს შეგრძნებები, ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რაც არსებითად ცვლის არსებულ სამოქალაქო სამართლებრივ მიდგომას ცხოველებთან მიმართებით. სამართლებრივი სიცხადის და განსაზღვრულობის უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია ცხოველის მიმართ განსხვავებული სამართლებრივი სტატუსის დადგენა, რომელიც ნაწილობრივ გაიზიარებს უკვე არსებულ მოწესრიგებას ნივთებთან მიმართებით, ხოლო შეუთავსებელ დებულებებთან მიმართებით განსხვავებულ მოწესრიგებას შემოგვთავაზებს. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა არსებით მნიშვნელობას იძენს საკითხის აქტუალობისა და ძაღლის ყოლის პოპულარიზაციის მატებასთან ერთად.

კვლევის შედეგად განისაზღვრა ის პრობლემური საკითხები, რასაც ადგილი აქვს ცხოველებზე, როგორც მოძრავ რეგისტრაციაუნარიან ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემისას ვალდებულებით-სამართლებრივი თუ სანივთო გარიგებების თვალსაზრისით. ამასთან, განისაზღვრა, თუ რაოდენ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება ცხოველებზე საკუთრების შეძენისას რეგისტრაციის სავალდებულობის დადგენას და სახელმწიფოს ამოცანას ამ ნაწილში.

კვლევის შედეგები საინტერესო იქნება სამართლებრივი უწყებებისა და ინსტიტუტებისთვის. იგი გაამდიდრებს და სიახლეს შესძენს აღნიშნულ თემაზე შექმნილ ნაშრომებს; აკადემიურ და პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს არა მხოლოდ სამართლებრივ ინსტიტუტებსა და უწყებებს, არამედ ამ საკითხით დაინტერესებულ პირებს. ნაშრომის მასალები შესაძლოა გამოყენებულ იქნას სალექციო სპეცკურსების მოსამზადებლად სამეცნიერო კონფერენციებისა და კვლევების განხორციელების პროცესში.

2.1. ცხოველის, როგორც ნივთის სტატუსის სამართლებრივი მოწესრიგება

აღსანიშნავია, რომ სანივთო სამართლებრივი ურთიერთობები თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანი მრავალფეროვანი სამართლის დარგია. სიახლეს არ წარმოადგენს, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების კვალდაკვალ თავს იჩენს ახალი გამოწვევები და საჭიროებები, რაც თავის მხრივ საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავების ძირითად საფუძველს წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ შინაური ცხოველები სარგებლობენ მზარდი სოციალური მიმღებლობით, ისინი რაიმე განსაკუთრებულ სამართლებრივი მოწესრიგებას არ ექვემდებარებიან და ბუნდოვანია მათი სამართლებრივი სტატუსიც. აღსანიშნავია, რომ არ არსებობს ცხოველთა სამართლებრივი მდგომარეობის მარეგულირებელი ნორმათა სისტემატიზებული ერთობლიობა. სამართლის ნორმათა უმეტესობა გაბნეულია სამართლის სხვადასხვა დარგში. მაგ., სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლი ახდენს ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობის კრიმინალიზაციას. აღნიშნული ნორმის მიზანი ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმების დაცვის უზრუნველყოფაა. ამასთან, იმ შემთხვევაში, როცა სასტიკი მოპყრობის ობიექტია სხვისი ცხოველი, მაშინ სისხლისსამართლებრივი დაცვის დამატებითი ფაკულტატური ობიექტი შეიძლება იყოს ასევე საკუთრება[2].

ცხოველებთან დაკავშირებული საკითხი ასევე წესრიგდება „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით. ამ კანონის 105-ე მუხლის შესაბამისად, სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის დროს ადამიანის, როგორც სამედიცინო-ბიოლოგიური კვლევის ობიექტის უფლებები

[2] ლეკვეიშვილი მ., „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“, მეთხე გამოცემა, თბილისი, 2011, გვ. 667;

და ლაბორატორიული ცხოველისადმი ჰუმანური დამოკიდებულებების პრინციპები დაცული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებების შესაბამისად[3]. ამავე კანონის 113-ე მუხლის თანახმად, ცხოველებზე სამედიცინო ბიოლოგიური კვლევის წარმოებისას მკვლევარი ვალდებულია დაიცვას საექსპერტო ცხოველისადმი ჰუმანური დამოკიდებულების ყველა არსებული პრინციპი. დასახელებული ნორმები თითქმის ერთი და იგივე შინაარსის მატარებელია, თუმცა კონტროლის ბერკეტები ბუნდოვანი და განუჭვრეტადი. მსგავსი შინაარსის ნორმები ატარებს უფრო მეტად აბსტრაქტულ ხასიათს და არ აქვს პრაქტიკული დანიშნულება.

ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობის გამო პასუხისმგებლობა დგინდება ასევე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, რომლის 104-ე მუხლის მიხედვით, დასჯადია ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობა, რამაც მისი ტანჯვა, სხეულის დაზიანება და მისთვის ტკივილის მიყენება გამოიწვია, როგორც ერთჯერადად ისე განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში[4]. აღსანიშნავია, რომ ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობის გამო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოძიების დაწყების შემთხვევათა რაოდენობა მზარდია.

ცხოველის სამართლებრივი მდგომარეობის საკანონმდებლო მოწესრიგების საქმეში პოზიტიურ ნაბიჯად უნდა შეფასდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 6 აპრილის ქ. თბილისის საკრებულოს დადგენილება,[5] რომელიც სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად არეგულირებს ცხოველებზე რეგისტრაციის წესსა და მიზნებს, ასევე გვთავაზობს ცხოველის პატრონის საკანონმდებლო დეფინიციას, კერძოდ, დადგენილების მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ცხოველის პატრონად მიიჩნევა ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც აქვს საკუთრების უფლება ცხოველზე ან მფლობელობაში ჰყავს ცხოველი. პატრონს ეკისრება მისი რეგისტრაციის, მოვლა-პატრონობის, შენახვის, ვეტერინარული მომსახურების და სოციალური ქცევის კორექციის ვალდებულება. წარმოდგენილი ნორმის ანალიზი იძლევა იმგვარი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ ცხოველი გათანაბრებულია ნივთთან და მასზე ვრცელდება საკუთრების უფლება გამონაკლისის გარეშე.

---

[3] საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ მუხლი 105, კონსოლიდ. 21.02.2024 (https://matsne.gov.ge/ka/document/view/29980?publication=53)

[4] საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ მუხლი 113, კონსოლიდ. 21.02.2024 (https://matsne.gov.ge/ka/document/view/29980?publication=53)

[5] „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის დადგენილება N7-28. (https://matsne.gov.ge/ka/document/view/2805510?publication=0)

ცხოველის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით არ არსებობს კონკრეტული დათქმა. შესაბამისად, მოქმედებს ზოგადი მიდგომა, რომლის მიხედვითაც, ცხოველი მიიჩნევა ნივთად. გასათვალისწინებელია, რომ გერმანიის კანონმდებლობა უფრო ცხად საკანონმდებლო რეგლამენტაციას გვთავაზობს ხსენებულ საკითხზე, კერძოდ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 90ა პარაგრაფის შესაბამისად, ცხოველები არ წარმოადგენენ ნივთებს, ისინი დაცულნი არიან სპეციალური კანონმდებლობით და მათ მიმართ გამოიყენება ნივთების მიმართ დადგენილი ნორმები.[6] ცხოველის მიმართ ნივთების საკანონმდებლო მოწესრიგების გავრცელების შემთხვევაშიც ბუნდოვანია ცხოველზე საკუთრების შემადგენელი ტრიადის (ფლობა, სარგებლობა და განკარგვა) გავრცელების საკითხი. ამდენად, არც გერმანიის საკანონმდებლო მოწესრიგება გვთავაზობს საკითხის გადაწყვეტის ოპტიმალურ გზას.

საგულისხმოა, რომ ავსტრალიის კანონმდებლობით ცხოველები წარმოადგენენ საკუთრების ობიექტს. ავსტრალიის საერთო სამართლის სისტემის მემკვიდრეობა ბრიტანეთიდან მომდინარეობს. თუმცა მას შემდეგ რაც ცხოველების შესახებ მეცნიერული, ფილოსოფიური და კულტურული შეხედულებები შეიცვალა, თავად ავსტრალიაშიც დაფიქრდნენ ცხოველების სამართლებრივი სტატუსის გადახედვის საჭიროებაზე. აღიარებულია, რომ ცხოველების საკუთრების ობიექტად მიჩნევა არ არის რაციონალური და ამიტომ საჭიროა ალტერნატიული სამართლებრივი სტატუსის შესახებ დისკუსიის წარმართვა. მიუხედავად იმისა, რომ ავსტრალიას ჯერ არ მოუხდენია ცხოველების საკუთრებად კლასიფიკაციის მიზანშეწონილობის გადახედვა, არის რამდენიმე ქვეყანა, რომლებმაც ეს გააკეთეს. კერძოდ, რამდენიმე იურისდიქციამ სცადა საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება ცხოველთათვის ცალკე სტატუსის შექმნით - სტატუსი ცხოველებისთვის. ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში, შვეიცარიში,[7] გერმანიასა[8] და ავსტრიაში[9] განხორციელებული ცვლილებებით აღიარებულ იქნა ის ფაქტი, რომ ცხოველები არ არიან საგნები და ისინი არ უნდა დაექვემდებარონ იმავე სამართლებრივ მოწესრიგებას, რასაც საგნები. ცალკეულ შემთხვევებში შეიმჩნევა ძალისხმევა კონკრეტული ცხოველების სამართლებრივი სტატუსის შეცვლის თაობაზე. მაგ., ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარეობს სასამართლო განხილვები შიმპანზეების პიროვნებად გამოცხადების თაობაზე. მსგავსი სასამართლო პროცესები არის არგენტინაშიც. რუმინეთი განიხილავს კანონმდებლობაში იმგვარი ცვლილების განხორციელების შესაძლებლობას, რომელიც დელფინებს მისცემს პიროვნების სტატუსს.

ცხოველთა კეთილდღეობის ყოფილი ადვოკატის კანტონის განმარტებით, შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის 641-ე მუხლმა დაადგინა ცალკე კატეგორია, ცხოველების, განსხვავებული საგნებისა და ადამიანების სახით. კანტონის მტკიცებით, ცხოველები აღარ

[6] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი BGB მეორე რედაქტირებული გამოცემა GIZ თბილისი 2019, გვ. 229
[7] Schweizerisches Zivilgesetzbuch [Civil Code), Art 641a (Swiss Civil Code).
[8] Burgeriichen Gesetzbuches [Civil Code]. §90a (German Civil Code).
[9] Allgemeines burgerliches Gesetzbuch [CiVil Code], Art 285 (Austrian Civil Code).

არიან საგნები, ისინი არ არიან უფლების მფლობელნი და რომ აქვთ „საკუთარი სტატუსი“ საგნებს და ადამიანთა შორის.[10]

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად არის მომატებული ცხოველებისადმი საზოგადოების ინტერესი. სწორედ შინაურ ბინადარ ცხოველთა სათანადო ინსტიტუციებისა და სამართლებრივი ბაზის შექმნის მიზანს ემსახურება საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „შინაურ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“[11], რომელიც განსაზღვრავს შინაურ ბინადარ ცხოველთა სამართლებრივ სტატუსს, მათი მოვლა-პატრონობისა და კეთილდღეობის სამართლებრივ საფუძვლებსა და ძირითად პრინციპებს.[12]

დადგენილებით განსაზღვრულია სპეციალური გადასახადის გადახდა ცხოველთა რეესტრში რეგისტრაციისთვის, რაც გარკვეულ შეღავათებს მოიცავს ცხოველისთვის საჭირო სავალდებულო სერვისებზე.

გადასახადთან დაკავშირებით საგულისხმო მითითებას შეიცავს გერმანიის კანონმდებლობა, კერძოდ, გერმანიაში მუნიციპალიტეტების უმეტესობა ძაღლებისთვის ყოველწლიურ გადასახადს აწესებს. მაგ., ბერლინში, ყოველი მომდევნო ძაღლის ყოლა იბეგრება უფრო მაღალი გადასახადით, რათა დაბრკოლდეს ბევრი ძაღლის ფლობა. აღსანიშნავია ისიც, რომ სხვადასხვა ჯიშის ძაღლის ყოლა სხვადასხვა განაკვეთით იბეგრება. ბერლინში გადასახადი 120-160 ევროს ფარგლებშია, მიუნხენში 100-800 ევროს ფარგლებში, ჰამბურგში 90-600 ევროს ფარგლებში და ა.შ.[13]

სრულად უნდა იქნეს გაზიარებული მოსაზრება[14] იმის თაობაზე, რომ ცხოველის სამართლებრივი სტატუსის დახვეწის გზაზე საქართველოს კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია განსახორციელებელი, რომელთა ანალიზიც მნიშვნელოვანია განხორციელდეს მულტიდისციპლინური მიდგომით დარგის სპეციალისტების აქტიური ჩართულობით. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ცხოველისათვის პიროვნების სტატუსის მინიჭება არ არის მიზანშეწონილი მისი თვისებების გათვალისწინებით. ამდენად, გონივრულია სპეციალური სტატუსის განსაზღვრა ცხოველისთვის, რომლის მიხედვითაც, მასზე შესაძლებელი იქნება

[10] Articles “THE LEGAL STATUS OF ANIMALS” The world rethinks its position GEETASHYAM (2015) file:///C:/Users/pc/Downloads/20161039.pdf

[11] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/220605> [23.05.2023].

[12] საქართველოს კანონის პროექტი „შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/220603> [23.05.2023].

[13] Articles “THE LEGAL STATUS OF ANIMALS” The world rethinks its position GEETASHYAM (2015) file:///C:/Users/pc/Downloads/20161039.pdf

[14] ზარანდია თ., სანივთო სამართალი, მე-2 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2019, 89.

საკუთრების ობიექტად მისი აღიარება, თუმცა, შეზღუდული იქნება სარგებლობისა და მოხმარების ფარგლები.

2.2. ნივთისთვის დამახასიათებელი ნიშნების ცხოველთან მისადაგება

ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ბატონობის პირობებს არეგულირებს სანივთო სამართალი. ამ დარგის ძირითად ამოცანას წარმოადგენს ქონების მიმართ ინდივიდთა უფლებების განსაზღვრა და მათი დაცვა.

ქონებაზე საკუთრების შეძენის პროცესი საკმაოდ დინამიურია. ამასთან, განსხვავებულია საკუთრების შეძენის წესები ნივთების კლასიფიკაციის მიხედვით. ნივთების კლასიფიკაცია ხორციელდება განსხვავებული კრიტერიუმების საფუძველზე. კლასიკური მიდგომით ნივთები იყოფა მოძრავ და უძრავ, გვაროვნულ (შეცვლად) და ინდივიდუალურ (შეუცვლად) ნივთებად. ამასთან, ქონება აერთიანებს არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს, კერძოდ, მოთხოვნებსა და უფლებებს, რომელთა გადაცემა დასაშვებია და ქონებრივი ღირებულება გააჩნია.[15] ქონება, როგორც ადამიანის პიროვნულობისგან იზოლირებული ფენომენი, მოიაზრებს ყველაფერს, ადამიანის ნების ზემოქმედების შესაძლებლობების ფარგლებში.[16]

საგულისხმოა, რომ ნივთებად კვალიფიკაციისათვის აუცილებელია საგნები აკმაყოფილებდეს კონკრეტულ ნიშნებს. „ნივთები იურიდიულ ლიტერატურაში განმარტებულია, როგორც პიროვნულობას მოკლებული, ბრუნვაუნარიანი, პირთა ბატონობას დაქვემდებარებული, ნატურით გამიჯნული და სხეულებრივად ერთიანი საგნები.“[17] წარმოდგენილი მოსაზრების შესაბამისად, ნივთების ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს მათი ბრუნვაუნარიანობა[18]. ბრუნვიდან ამოღებული ნივთები არა მარტო ვერ გახდება სამოქალაქო ბრუნვის ობიექტი, არამედ მათი რეალიზება ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება ასახავდეს დანაშაულს.

უდავოა, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა ახდენს ნივთის მოძრავ და უძრავ ნივთებად გამოყოფას. ამასთან, გვთავაზობს მარტოოდენ უძრავი ნივთების განმარტებას, ხოლო მოძრავი ქონების საკანონმდებლო დეფინიციას არ განსაზღვრავს.

ნივთის, როგორც სამართლის ობიექტის აღსანიშნავად დოქტრინაში ძირითადად იყენებენ „უფლების ობიექტის“ ტერმინს. ზოგადად, უფლება წარმოადგენს კონკრეტული ინტერესის დაცვისა და განხორციელების შესაძლებლობას. უფლების ობიექტი არის მექანიზმი, რომლის

---

[15] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 26/06/1997, მუხლი 152.

[16] კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, 184.

[17] ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, მეორე გადამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2003, 26.

[18] იქვე, 32.

მეშვეობითაც კონკრეტული ინტერესის განხორციელებაა შესაძლებელი.[19] ინდივიდის მოქმედების თავისუფლებიდან გამომდინარე, ყველაფერი, რაზეც მიმართულია ინდივიდის სუბიექტური უფლება, წარმოადგენს კერძოსამართლებრივი ურთიერთობების „ობიექტს“[20].

მიუხედავად ნივთებისთვის დამახასიათებელი ნიშნებისა, არსებობს ისეთი ნივთები, რომლებიც აკმაყოფილებენ ნივთისთვის დამახასიათებელ პირობებს, თუმცა მასზე სრული ბატონობის განხორციელება არსებითად შეუძლებელია. აღნიშნულის მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნეს ცხოველი, რომლის მიმართაც კანონმდებლობით არ დგინდება სპეციალური მოწესრიგება. შესაბამისად, მის მიმართ შეიძლება გავრცელდეს სამოქალაქო კანონმდებლობით განსაზღვრული ნივთის მიმართ არსებული მოწესრიგება. ამასთან, მნიშვნელოვანია მოხდეს იმ ძირითადი პრობლემების იდენტიფიცირება, რომლებიც შედეგად მოჰყვება ცხოველის ნივთად მიჩნევას. საგულისხმოა, რომ როცა საუბარია ნივთებზე, ისინი იმთავითვე უნდა იქნეს აღიარებული სამოქალაქო ბრუნვის ობიექტად. საკუთრების უფლება თავის თავში აერთიანებს სამ კომპონენტს: ფლობას, სარგებლობასა და განკარგვას. **ფლობა** ნივთის უშუალო პყრობის ფაქტში ვლინდება, ხოლო პირს, რომელიც ფლობს ნივთს, **მფლობელად** იწოდება. ფლობასთან ერთად მესაკუთრეს აქვს ნივთით **სარგებლობის** უფლება. სარგებლობის ცნება მოიცავს როგორც ნივთით უშუალო სარგებლობას, ისე მისი მეშვეობით შემოსავლის, ნაყოფის მიღებას და ა.შ, აგრეთვე მესაკუთრეს აქვს უფლება, არ ისარგებლოს კუთვნილი ნივთით. თუმცა, არც მხოლოდ მფლობელობისა და სარგებლობის კომბინაციაა სრულად საკუთრების ცნების გამომხატველი. საკუთრების ცნების მესამე კომპონენტია **განკარგვა**. განკარგვა გულისხმობს ნივთის სამართლებრივი ბედის გადაწყვეტას – განასხვავებენ მატერიალურ და იურიდიულ განკარგვას. მატერიალური განკარგვა ვლინდება ნივთის სუბსტანციის მოსპობით, როგორიცაა ქონების დემონტაჟი, ნივთის განადგურება და სხვ.[21]

ყურადსაღებია, რომ ძაღლთან მიმართებით მატერიალური განკარგვის ელემენტის სრული რეალიზება ობიექტურად შეუძლებელია არსებული საკანონმდებლო რეგლამენტაციის პირობებში. კერძოდ, ცხოველის მიმართ სასტიკი მოპყრობის ფაქტის დადასტურება წარმოადგენს დანაშაულს, რაც უზღუდავს მესაკუთრეს ცხოველთან მიმართებით საკუთრების დასახელებული ელემენტებით სრულყოფილად სარგებლობის შესაძლებლობას.

საგულისხმოა, რომ გერმანიის სამოქალაქო კოდექსით ცხოველი თუმცა არ წარმოადგენს ნივთს, მაგრამ მის მიმართ კანონმდებლობით ანალოგიით გამოიყენება ნივთების მიმართ მოქმედი წესები,[22] რაც არსებითად არ ცვლის საქართველოში ძაღლის მიმართ არსებულ

---

[19] ვაჩეიშვილი ა., სამართლის ზოგადი თეორია, გამყრელიძე ო., მარინაშვილი მ. (რედ.), თბ., 2010, 196 მითით. გელაშვილი ი., ჩანასახის სამოქალაქოსამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 2012, 39.

[20] კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009, 183.

[21] ზარანდია თ. სანივთო სამართალი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2019;

[22] ჭეჭელაშვილი ზ., (მთარგმ.) გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, გამომცემლობა „სიესტა“, თბილისი, 2010, §90ა

მიდგომას. ერთადერთი მნიშვნელოვანი განსხვავება შეიძლება იმაში მდგომარეობდეს, რომ გერმანიაში დაწესებულია სავალდებულო გადასახადი ცხოველის ყოლისთვის.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე[23] მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა ცხოველის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით. საქმე შეეხებოდა ძალადობის მსხვერპლ ძაღლს სახელად ტოტოს, რომელიც გაჩუქებულ იქნა გარკვეული პირობებით, რომლებიც არსებითად დაირღვა, დაირღვა ცხოველის უფლებები და დაუდგინდა ჯანმრთელობის მძიმე პრობლემები. სასამართლოს მიერ დადგინდა, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების საგანია **სულიერი არსება, ძაღლი,** რომლის ფლობის და განკარგვის წესები გარკვეულწილად შეზღუდულია (სისხლის და ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით აკრძალულია ცხოველის წამება, არასათანადო მოპყრობა, რამაც მისი ტანჯვა, სხეულის დაზიანება, ან მისთვის ტკივილის მიყენება გამოიწვია). პირი, რომელსაც საკუთრებაში ან მფლობელობაში ჰყავს ძაღლი, ვალდებულია უზრუნველყოს ცხოველის მოვლა-პატრონობა და მათთვის უსაფრთხო, საიმედო გარემოს შექმნა, რის გათვალისწინებასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რათა დაცული იყოს ცხოველთა უფლებები.

სასამართლოს განმარტებით, მოცემული სამართალურთიერთობის მთავარი ობიექტი - ძაღლი მართალია შეიძლება გათანაბრებული იყოს ნივთებთან იურიდიული ფიქციის თავლსაზრისით (მაგალითად, მასზე ნასყიდობის, ჩუქების თუ სხვა გარიგების დადებისას), თუმცა სამოქალაქო კოდექსი ცხოველებს ნივთებად არ მიიჩნევს. ასეთი ქონების მფლობელის უფლებები მასზე არაა შეუზღუდავი ხასიათის. ასეთი ქონების მფლობელი არაა უფლებამოსილი მაგალითად გაანადგუროს ის ან მოექცეს თავისი შეხედულებისამებრ ისე, რაც ძაღლის მძიმე მდგომარეობაში ჩაყენებას გამოიწვევს. აღნიშნული პირობა მიმდინარე სამართალწარმოების მეტად სპეციფიკურ ხასიათს განაპირობებს.[24]

სხვა საქმეზე, რომელიც შეეხებოდა ლეკვის ჩუქების გაუქმებას, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ჩუქების გაუქმების საფუძველი, ვინაიდან მესაკუთრე ცხოველს სათანადოდ უვლიდა, რაც დასტურდებოდა ექსპერტიზის დასკვნით.[25]

საქალაქო სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილებით ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ცხოველი არ არის მხოლოდ ნივთი, რომელიც შეიძლება იყოს სამოქალაქო ბრუნვის საგანი, არამედ ის არის სულიერი არსება, რომელსაც აქვს შეგრძნებები, ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რაც არსებითად ცვლის არსებულ სამოქალაქო სამართლებრივ მიდგომას ცხოველებთან მიმართებით. სამართლებრივი სიცხადის და განსაზღვრულობის

[23] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე N2/39040-22.
[24] თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე N2/39040-22.
[25] შედ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 27 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-728-696-2014

უზრუნველსაყოფად მიზანშეწონილია ცხოველის მიმართ განსხვავებული სამართლებრივი სტატუსის დადგენა, რომელიც ნაწილობრივ გაიზიარებს უკვე არსებულ მოწესრიგებას ნივთებთან მიმართებით, ხოლო შეუთავსებელ დებულებებთან მიმართებით განსხვავებულ მოწესრიგებას შემოგვთავაზებს. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა არსებით მნიშვნელობას იძენს საკითხის აქტუალობისა და ძაღლის ყოლის პოპულარიზაციის მატებასთან ერთად.

2.3. საკუთრების შინაარსის ძირითადი ელემენტების რეალიზაცია ცხოველთან მიმართებით

სახელმწიფოს განვითარების განსხვავებული პრიორიტეტების - დემოკრატიული სოციალური თუ სამართლებრივი ტიპის მიუხედავად, უცვლელ პრიორიტეტს წარმოადგენს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, მისი თითოეული წევრის, საზოგადოებისა თუ ჯგუფის სრულფასოვანი განვითარების მიზნით სათანადო პირობების შექმნა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე აგებული ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში ჯანსაღი კონკურენტუნარიანი გარემოს უზრუნველყოფა.[26] საკუთრების უფლება წარმოადგენს დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებისათვის აუცილებელ, ერთ-ერთ ფუნდამენტურ ძირითად უფლებას. ადამიანის უფლებების არა მხოლოდ დეკლარირება, არამედ მისი პრაქტიკაში რეალიზება წარმოადგენს თითოეული სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას. საკუთრების უფლების, ისევე როგორც სხვა ძირითადი უფლებების სამართლებრივ საფუძველს ქმნის, პირველ რიგში, საქართველოს კონსტიტუცია.[27] საკუთრების უფლება, როგორც არაერთხელ იქნა აღნიშნული რეალიზებას ჰპოვებს ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის ელემენტების გამოყენებაში. ცხოველთან მიმართებით დასახელებული ელემენტების არასრული გამოყენება ქმნის ბუნდოვანებას. საგულისხმოა, რომ განსაკუთრებით აქტუალური ხდება ცხოველთან (ძაღლთან) დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის დამყარების საკითხი, რაც ცალსახად სპეციფიკით ხასიათდება. ცხოველი ხდება არაერთი სამართლებრივი ურთიერთობის ობიექტი, რომელიც სამართლებრივი შედეგის სახით ნივთის სამართლებრივი ბედის გადაწყვეტას იწვევს. მაგალითისათვის, ძალიან ხშირია ძაღლის ყიდვა-გაყიდვის შემთხვევები. თავად ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოადგენს სრულად ორმხრივ და სინალაგმატურ გარიგებას, რომელიც იწვევს ნივთის სამართლებრივი ბედის ცვლილებას. შესაბამისად, ამ გარიგების ობიექტად ცხოველის აღიარების შემთხვევაში, ის დე ფაქტო გათანაბრებულია ნივთთან და მოქმედებს ნივთების მიმართ არსებული წესები.

---

[26] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წელის 2 ივლისი გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/384.(საქართველოს მოქალაქეები - დავით ჯიმშელეიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ

[27] საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 19. 24.08.1995

საგულისხმოა, რომ ამ ცხოველთან მიმართებით, მიუხედავად განსაკუთრებული საჯარო ინტერესის არსებობისა, არ არის საკანონმდებლო დონეზე რეგლამენტირებული ცხოველზე საკუთრების შეძენის სპეციალური წესი. მაგ., ამ შემთხვევაშიც შეიძლება გამოყენებული იქნეს სსკ-ის 158-ე მუხლით დადგენილი მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმფცია, რაც ცხოველთან მიმართებით იმაში ჰპოვებს ასახვას, რომ პირი, რომელიც ფლობს ცხოველს და ვის მიმართაც ეს უკანასკნელი არ გამოხატავს აგრესიას, მიიჩნევა მის მესაკუთრედ, შესაბამისად, მასზე ვრცელდება საკუთრების სოციალური დატვირთვა.

საგულისხმოა, რომ ცხოველის შეძენის მიმართ არ დგინდება მესაკუთრის სპეციალურ რეგისტრაციას დაქვემდებარების სავალდებულო წესი. თუმცა, საქართველოს პარლამენტში საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენილია „შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომლის ავტორიც ცხოველთადამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები გახლავთ, ითვალისწინებს ცხოველთა ერთიანი ბაზის შექმნის სავალდებულობას არა მხოლოდ დედაქალაქის, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ჩათვლით. მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტზე აქტიური მუშაობა 2019 წლიდან დაიწყო, ის დღემდე კანონად არ ქცეულა. ამდენად, ცხოველის რეგისტრაციის სავალდებულობა ამ ეტაპზე არ არის გადაწყვეტილი, თუმცა ამგვარი რეგლამენტაციის არსებობა გამართლებულია მაღალი საჯარო ინტერესის არსებობით. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა წარმოადგენს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის მიზნის მიღწევის ვარგის, გამოსადეგ და პროპორციულ საშუალებას. ძაღლის გაზრდილი ფასიდან გამომდინარე მყიდველისთვის პრიორიტეტს წარმოადგენს სრულყოფილი დოკუმენტაციის და შესაბამისი ფედერაციის ბაზებში მისი რეგისტრაცია ფაქტის არსებობა, ასევე ე.წ. „დაჩიპვა“, კერძოდ, მცირე ზომის მიკრო ჩიპზე ცხოველის და მისი მესაკუთრის ანდა მფლობელის პერსონალური მონაცემების შეყვანა მესაკუთრესთან შეთანხმებით. აღნიშნული ჩიპის არქონა წარმოადგენს სერიოზულ დაბრკოლებას საზღვრის კვეთის პროცესში, კერძოდ, ავიაკომპანიების 99%-ს აქვთ შეზღუდვა დაუჩიპავი ცხოველის გადაყვანის შესახებ.

ცხოველის გადაცემა მფლობელობასა თუ საკუთრებაში იმთავითვე წარმოშობს მფლობელის/მესაკუთრის უფლებებსა და მოვალეობებს. კერძოდ, ამ უკანასკნელთ ეკისრებათ ცხოველის მოვლა-პატრონობის სავალდებულო პროცედურების წარმოების, ასევე მის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, სსკ-ის 1003-ე მუხლის შესაბამისად.[28]

საგულისხმოა, რომ ცხოველიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს მომეტებული საფრთხის წყაროდ, ვინაიდან მასზე სრული კონტროლის განხორციელება ობიექტურად შეუძლებელია. სწორედ ამიტომ შესაძლოა, სწორედ მსგავსი მოსაზრების გაზიარებისას, განსხვავებული იყოს

[28] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 22.02.2023, მუხლი 1003.

პასუხისმგებელ სუბიექტთა წრე და ზიანის მიყენების სამართლებრივი შედეგები, კერძოდ, ცხოველის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელ სუბიექტად იქნეს მიჩნეული მესაკუთრე, მიუხედავად იმისა, იმყოფებოდა თუ არა ის მისი ზედამხედველობის ქვეშ. საგულისხმოა, რომ მსგავსი მიდგომა მესაკუთრეს აიძულებს წინდახედულობა გამოიჩინოს კონტრაჰენტის შერჩევისას, წინააღმდეგ შემთხვევაში თავად იქნება პასუხისმგებელი სამართლებრივ შედეგებზე. განსხვავებული მიდგომაა მაგალითად, ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაცემის საკითხთან დაკავშირებით.

2.4. ცხოველის რეგისტრაციასთან დაკავშირებული ძირითადი თავისებურებანი

„ძველ დროში საკუთრების წარმოშობის გზაზე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სხვადასხვა საკრალური მოქმედებების შესრულებას, რასაც ისეთი ძალა გააჩნდა, როგორც დღეს უძრავ ნივთებზე საკუთრების წარმოშობის შესახებ ფორმალობათა დაცვას ენიჭება.“[29] უძრავ ნივთებზე რეგისტრაციას ბუნებრივია იცნობდა საბჭოთა სამართალი, თუმცა მისთვის უცხო ინსტიტუტი იყო მოძრავი ნივთების რეგისტრაციის პროცესი. საკუთრების უფლებაზე მსჯელობა შეუძლებელია საკუთრების უფლების გადაცემის სისტემების განხილვის გარეშე.[30] სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობებში მოძრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემის სისტემები განსხვავდება ერთმანეთისგან. კერძოდ, ზემოთხსენებულ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემა იყოფა იმ მახასიათებლების შესაბამისად, რომლებიც წარმოდგენილია, ტრადიციისა და კონსენსუალურ და აბსტრაქტულ და კაუზალურ სისტემებში.[31]

კონსენსუალობის პრინციპის შესაბამისად, საკუთრების გადაცემა მხოლოდ ვალდებულების ძალით ხორციელდება. ქვეყნებში, სადაც აღნიშნული პრინციპი მოქმედებს, გავრცელებულია ერთიანობის პრინციპიც, რომლის შესაბამისად, ვალდებულებითი გარიგება წარმოადგენს საკმარის პირობას სანივთო სამართლებრივი მდგომარეობის შესაცვლელად. სწორედ ასეთი პრინციპი მოქმედებს საფრანგეთსა და ინგლისში. საგულისხმოა, რომ ამის საპირისპიროდ არსებობს ტრადიციის პრინციპი, რომლის თანახმად, ვალდებულებით სამართლებრივ გარიგებასთან ერთად საკუთრების გადასაცემად აუცილებელ პირობას წარმოადგენს ნივთზე მფლობელობის გადაცემა.[32]

მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის მომწესრიგებელ კანონმდებლობასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მიდგომებიც, მაგალითად როგორიცაა **„გამიჯვნის**

---

[29] იხ. ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, თბილისი 2003, გვ.138

[30] ეკატერინე ლაფაჩი. უძრავ ნივთებზე სანივთო უფლებათა რეგისტრაციის გავლენა სანივთო უფლებათა განხორციელებასა და დაცვაზე. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი. 2016. 91

[31] ჭეჭელაშვილი ზურაბ. მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება, სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი. 2008. 12

[32] რუსიაშვილი გიორგი. 2019. გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში. შედარებითი სამართლის ქართულ გერმანული ჟურნალი, №1, 20. www.ombudsman.ge (15.04.24).

პრინციპი“, რომლის მიხედვითაც არსებობს არა მხოლოდ ვალდებულებითი, არამედ ასევე სანივთო გარიგებაც და საკუთრების გადაცემა ხდება სწორედ ამ სანივთო გარიგებით. საკუთრების უფლების გადასაცემად საკმარისი არ არის ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების არსებობა, რომელიც მხოლოდ საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნის უფლებას იძლევა, საკუთრების უფლების გადასაცემად დამატებით საჭიროა სანივთო სამართლებრივი ხელშეკრულების - სანივთო გარიგების არსებობის ფაქტი, რომელიც ნივთის მფლობელობაში გადაცემას აერთიანებს.[33]

მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარმოშობის შემთხვევაში, აღნიშნული პრობლემის მომწესრიგებელ საშუალებად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მიღებულია ე.წ. შუალედური ტრადიციისა და კაუზალური სისტემის რეგულაციები[34]. კერძოდ, სსკ-ის 186-ე მუხლში ცალსახად ვხედავთ ვალდებულებითი მოთხოვნის აუცილებლობის (კაუზალური გარიგება) მოთხოვნას, მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადასაცემად, ისევე, როგორც უშალოდ ნივთის გადაცემის შემთხვევაში (traditio), რაც თავისთავად თავიდანვე გამორიცხავს აბსტრაქციის პრინციპის მოქმედებას [35].

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის თანახმად, მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლება წარმოიშობა მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე, აქედან გამომდინარე, მხარისთვის ნივთის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემა არ წარმოშობს საკუთრების უფლებას. მაგალითად, საფრნგეთში, სადაც მოქმედებს ე.წ. ერთიანობის პრინციპი, არ ხდება სანივთოსამართლებრივ და ვალდებულებითსამართლებრივ ხელშეკრულების მიხედვით დაყოფა. ამდენად, მაგალითად, ნასყიდობა და ნივთის გადაცემა, ერთიან აქტად განიხილება.[36] აქვე აღნიშნულ უნდა იქნეს, რომ მოცემულ სისტემას სწორედ 1804 წელს საფრანგეთის მიერ სამოქალაქო კოდექსის მიღებით ჩაეყარა საფუძველი.[37]

ავსტრიასა და შვეიცარიაში, ასევე ნიდერლანდებში უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლება წარმოიშობა მხოლოდ რეგისტრაციის საფუძველზე.[38] ერთმანეთისგან განსხვავდება უფლებათა რეგისტრაცია და უფლებათა პუბლიკაცია. აღნიშნულ ქვეყნებში უფლებათა რეგისტრაციას საადგილმამულო წიგნში უფლების წარმოშობის ფუნქცია ეკისრება. კონფლიქტის შემთხვევაში რეგისტრაციას ფაქტობრივად აქვს დამატებითი მტკიცებულების

---

[33] Markesinis/Unberath/Johnsto. The German Law of Contract. 2nd Edition. (Oxford and Portland, Oregon, 2006) 29.

[34] ჭეჭელაშვილი ზურაბ, საკუთრების უფლების გადაცემა მოძრავ ნივთებზე, ქართული კერძო სამართლის კრებული. წიგნი I. თბილისი. 2004. 90-98.

[35] რუსიაშვილი გიორგი. 2019. გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში, შედარებითი სამართლის ქართულ გერმანული ჟურნალი, №1, 20

[36] ჭანტურია ლადო. უძრავი ნივთების საკუთრება. შედარებით სამართლებრივი კვლევა გერმანული სამართლის მაგალითზე. სადისერტაციო ნაშრომი 1994. 155

[37] ჭეჭელაშვილი ზურაბ, საკუთრების უფლების გადაცემა მოძრავ ნივთებზე, ქართული კერძო სამართლის კრებული. წიგნი I. თბილისი. 2004. 91.

[38] იხ. B*öhringer*, Das Deutsche Grundbuchsystem im internationalen Rechtsvergleich BWNotZ, Heiden., 1987, S. 25.

როლი, ხოლო რაც შეეხება უფლებათა პუბლიკაციას, საადგილმამულო სისტემის რეგისტრაციისაგან განსხვავებით, იგი ემსახურება იმ მიზანს, რომ ცნობილი იყოს უძრავ და მოძრავ ნივთებზე საკუთრების თუ სხვა სანივთო უფლების მფლობელის პიროვნება. რომ შევაჯამოთ ზემოთხსენებული საკუთრების გადაცემის ორი სამართლებრივი ფორმა, რეგისტრაცია ვალდებულებით სამართლებრივი ხასიათისაა, ხოლო პუბლიკაცია სამართლებრივ შედეგს არ წარმოშობს, აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არც ზემოთხსენებულ ქვეყნებს აქვთ სრული საკანონმდებლო რეგლამენტაცია მოძრავ ნივთებთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ სრულიად განსხვავდება გარიგებების რეგისტრაციის სისტემა უფლებათა რეგისტრაციისაგან,[39] გარიგებების რეგისტრაციის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს აშშ.[40] უფლებების რეგისტრაცია მოქმედებს იმ ქვეყნებში, რომლებშიც რეგისტრაციის ფაქტს კონსტიტუციური მნიშვნელობა ენიჭება.[41] აღნიშნული დამახასიათებელია საადგილმამულო სისტემის ქვეყნებისათვის. ამ სისტემის თვალსაჩინო მაგალითი გერმანიაა, უფლებების რეგისტრაციის ქვეყანათა ჯგუფს მიეკუთვნება, ასევე ტორენსის სარეგისტრაციო სისტემა,[42]

ზოგადად რეგისტრაცია არის ქონებაზე უფლების წარმოშობის ან შეცვლის პროცესი, რომელიც იცავს მხარის ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპს, რეგისტრირებული მონაცემების სისწორისა და უტყუარობის პრეზუმფცია მოქმედებს თვდაპირველი მესაკუთრის, ისე შემძენის მიმართ,[43] და საბოლოო ჯამში უზრუნველყოფს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის განმტკიცებას. რეგისტრაცია წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ პირის უფლებების დაცვის ფორმალურ პირობას.[44]

ზოგადად, ცხოველთა კანონით დადგენილი წესით რეგისტრაცია, როგორც საჯაროობის უზრუნველმყოფი მექანიზმი, წარმოადგენს მესამე პირთა დაცვის ეფექტურ საშუალებას მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა კონკრეტული საკანონმდებლო ჩარჩო ცხოველის სამოქალაქო ბრუნვაუნარიანობასთან დაკავშირებით. ფაქტია, რომ ცხოველი არის ნივთთან გათანაბრებული ქონებრივი სიკეთე, რომელიც სამოქალაქო ბრუნვის ობიექტია და შესაძლებელია მისი მესამე პირებზე გადაცემა საკუთრების უფლების გადაცემის სხვადასხვა

---

[39] შეად. *Webster,* Methods of Land Registration, University of Wisconsin, 1914, S. 4.

[40] გამონაკლის წარმოადგენს ზოგიერთი შტატი, სადაც მოქმედებს ტორენსის სისტემა.

[41] იხ. *Schöner/Stübe*, Grundbuchrecht, Band 4, Handbuch der Rechtspraxis Verlag-C-H, Beck-Mün., 15. Aufl., 2012, S. 17.

[42] ლაფაჩი ე. „უძრავ ნივთებზე სანივთო უფლებათა რეგისტრაციის გავლენა სანივთო უფლებათა განხორციელებასა და დაცვაზე“ ,თსუ, სადოქტორო ნაშრომი სამართლის აკად. ხარისხის მოსაპოვებლად, თბ. 2016, გვ, 52.

[43] საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკთხებზე 25.07.2007 წ. გვ.84 ხელმისაწვდომია საიტზე: <http://www.supremecourt.ge/>.

[44] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 თებერვლის N№ს-367-363 (კ-12)

საშუალების გამოყენებით. ის შეიძლება იყოს ჩუქების, ნასყიდობისა თუ თხოვების ობიექტი. ცხოველთა რეგისტრაციის საჭიროება წარმოიშვა საზოგადოებაში ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების აქტუალობიდან გამომდინარე. აუცილებელია მიღწეულ იქნეს ბალანსი დასახელებულ დაპირისპირებულ ინტერესებს შორის.

საგულისხმოა, რომ ცხოველის, კერძოდ, ძაღლის რეგისტრაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან გახშირდა ძაღლის მიერ მიყენებული ზიანის ფაქტები. ამდენად, მნიშვნელოვანია მოხდეს თითოეული ცხოველის რეგისტრაცია, სადაც მიეთითება მისი საიდენტიფიკაციო კოდი, მესაკუთრის პერსონალური მონაცემები, რეგისტრაციის ვადა და პერიოდულად განახლების საჭიროება. აღნიშნული ხელს შეუწყობს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების რეალიზაციისას ვალდებული პირის იდენტიფიცირებას, ასევე ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის ეფექტიან განხორციელებას, რაც ასევე ხშირია პრაქტიკაში.

სანივთო სამართალში საჯაროობის პრინციპის საფუძველზე ნებისმიერ მესამე პირს, რომელიც დაინტერესებულია რეგისტრირებულ ქონებაზე უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღებით, ყოველგვარი იურიდიული ინტერესის მითითების გარეშე, ელექტრონულად ან მარეგისტრირებელი ორგანოსადმი მიმართვის გზით ექნება შესაძლებლობა, მოიპოვოს ინფორმაცია ცხოველის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ[45].

3. დასკვნა

კვლევის შედეგები შეიძლება ჩამოყალიბებულ იქნეს შემდეგი ძირითადი ასპექტების სახით:

შინაური ცხოველები სარგებლობენ მზარდი სოციალური მიმღებლობით, ისინი რაიმე განსაკუთრებულ სამართლებრივ მოწესრიგებას არ ექვემდებარებიან და ბუნდოვანია მათი სამართლებრივი სტატუსიც. ცხოველი არ არის მხოლოდ ნივთი, რომელიც შეიძლება იყოს სამოქალაქო ბრუნვის საგანი, არამედ ის არის სულიერი არსება, რომელსაც აქვს განცდები, შეგრძნებები, ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რაც არსებითად ცვლის არსებულ სამოქალაქო სამართლებრივ მიდგომას ცხოველებთან მიმართებით. ცხოველის სამართლებრივი სტატუსის დახვეწის გზაზე საქართველოს კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია განსახორციელებელი, რომელთა ანალიზიც უნდა განხორციელდეს მულტიდისციპლინური მიდგომით დარგის სპეციალისტების აქტიური ჩართულობით. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ცხოველისათვის პიროვნების სტატუსის მინიჭება არ არის მიზანშეწონილი მისი თვისებების გათვალისწინებით. ამდენად, გონივრულია სპეციალური სტატუსის განსაზღვრა ცხოველებისთვის, რომლის მიხედვითაც, მასზე შესაძლებელი იქნება საკუთრების ობიექტად მისი აღიარება, თუმცა შეზღუდული იქნება სარგებლობისა და მოხმარების ფარგლები.

[45] https://iliauni.edu.ge/en/international/apply-now

ძალიან ხშირია ძაღლის ყიდვა-გაყიდვის შემთხვევები. თავად ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოადგენს სრულად ორმხრივ და სინალაგმატურ გარიგებას, რომელიც იწვევს ნივთის სამართლებრივი ბედის ცვლილებას. შესაბამისად, ამ გარიგების ობიექტად ცხოველის აღიარების შემთხვევაში, ის დე ფაქტო გათანაბრებულია ნივთთან და მოქმედებს ნივთების მიმართ არსებული წესები. საგულისხმოა, რომ ამ ცხოველთან მიმართებით, მიუხედავად განსაკუთრებული საჯარო ინტერესის არსებობისა, არ არის საკანონმდებლო დონეზე რეგლამენტირებული ცხოველზე საკუთრების შეძენის სპეციალური წესი. აუცილებელია ხსენებული წესის მიღება, რომლითაც ცხოველის შეძენის აუცილებელ პირობად დადგინდება უფლების რეგისტრაციის ფაქტი.

ცხოველის რეგისტრაციის სავალდებულობა ამ ეტაპზე არ არის გადაწყვეტილი, თუმცა ამგვარი რეგლამენტაციის არსებობა გამართლებულია მაღალი საჯარო ინტერესის არსებობით. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა წარმოადგენს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის მიზნის მიღწევის ვარგის, გამოსადეგ და პროპორციულ საშუალებას. ძაღლის რეგისტრაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან გახშირდა ძაღლის მიერ მიყენებული ზიანის ფაქტები. ამდენად, მნიშვნელოვანია მოხდეს თითოეული ცხოველის რეგისტრაცია, სადაც მიეთითება მისი საიდენტიფიკაციო კოდი, მესაკუთრის პერსონალური მონაცემები, რეგისტრაციის ვადა და პერიოდულად განახლების საჭიროება. აღნიშნული ხელს შეუწყობს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების რეალიზაციისას ვალდებული პირის იდენტიფიცირებას, ასევე ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის ეფექტიან განხორციელებას, რაც ასევე ხშირია პრაქტიკაში.

პოზიტიურ ნაბიჯად უნდა შეფასდეს დასახელებული ცვლილებები ცხოველთა და მესამე პირთა უსაფრთხოების დაცვის გზაზე, თუმცა ასევე აუცილებელია საკანონმდებლო ორგანოს მიერ შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს მიღება, რომელიც ცხოველზე (ძაღლზე) საკუთრების წარმოშობის აუცილებელ პირობად განსაზღვრავს რეგისტრაციის ფაქტს. ამ მიზნით აუცილებელია მარეგისტრირებელ ორგანოდ განისაზღვროს შესაბამისი სუბიექტი, რომელიც შესაძლოა იყოს სსიპ - ცხოველთა დაცვის სააგენტო, რომელიც მოახდენს არა მხოლოდ საკუთრების უფლების, არამედ მასში ცვლილების რეგისტრაციას.

ბიბლიოგრაფია

ნორმატიული აქტები:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
4. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
5. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი;
6. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონი;
7. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-2 მუხლი. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 08/05/2003, სარეგისტრაციო კოდი: 140.120.000.05.001.001.275 https://matsne.gov.ge/ka/document/view/14944?publication=70;
8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის დადგენილება N7-28;
9. საქართველოს კანონი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ მუხლი 105, 113 კონსოლიდ. 21.02.2024 (https://matsne.gov.ge/ka/document/view/29980?publication=53)
10. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/220605> [23.05.2023];
11. საქართველოს კანონის პროექტი „შინაურ ბინადარ ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“ <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/220603> [23.05.2023];
12. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისი გადაწყვეტილება საქმეზე №1/2/384.(საქართველოს მოქალაქეები - დავით ჯიმშელეიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ;
13. საქართველოს კონსტიტუცია მუხლი 19. 24.08.1995;
14. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 22.02.2023;
15. Schweizerisches Zivilgesetzbuch [Civil Code), Art 641a (Swiss Civil Code);
16. Allgemeines burgerliches Gesetzbuch [CiVil Code], Art 285 (Austrian Civil Code).

სასამართლო გადაწყვეტილებები:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2023 წლის 18 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე N2/39040-22;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 27 იანვრის განჩინება საქმეზე №ას-728-696-2014;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკთხებზე 25.07.2007 წ. გვ.84 ხელმისაწვდომია საიტზე: <http://www.supremecourt.ge/;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 28 თებერვლის Nბს-367-363 (კ-12)./

სამეცნიერო ლიტერატურა

1. გაჩეჩილაძე თ. 2017. სანივთო გარიგება - მოძრავი ნივთის „უხილავი“ ელემენტი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალი „ადვოკატი“ N 1-2;
2. გარიშვილი მ. ხოფერია მ. „რომის სამართლის საფუძვლები“ თბილისი 2010;
3. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი BGB მეორე რედაქტირებული გამოცემა GIZ თბილისი 2019;
4. ვაჩეიშვილი ა., სამართლის ზოგადი თეორია, გამყრელიძე ო., მარინაშვილი მ. (რედ.), თბ., 2010, 196 მითით. გელაშვილი ი., ჩანასახის სამოქალაქოსამართლებრივი მდგომარეობა, თბილისი, 2012;
5. ზოიძე ბ., ქართული სანივთო სამართალი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, კერძო სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 2003;
6. ზარანდია თ., სანივთო სამართალი, მე-2 გამოცემა, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2019;
7. თოდუა მ., ვილემსი ჰ. ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2006;
8. კროპჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, მე-13 გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2014;
9. კუბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, გამომცემლობა ჯისიაი, თბილისი, 2003;
10. კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2009;
11. ლეკვეიშვილი მ., „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი“, მეთხე გამოცემა, თბილისი, 2011;
12. ლაფაჩი ეკატერინე. უძრავ ნივთებზე სანივთო უფლებათა რეგისტრაციის გავლენა სანივთო უფლებათა განხორციელებასა და დაცვაზე. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი. 2016;
13. რენე დ., თანამედროვეობის ძირითადი სამართლებრივი სისტემები, თბილისი 1993;
14. რუსიაშვილი გიორგი, გამიჯვნის პრინციპი ქართულ სანივთო სამართალში. შედარებითი სამართლის ქართულ გერმანული ჟურნალი, №1, 20, 2019;
15. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, შპს. პეტიტი, თბილისი, 2013;
16. სირდაძე ლ., უძრავ ნივთზე საკუთრების მოპოვება უფლებამოსილი და არაუფლებამოსილი პირისგან, თბილისი, თსუ, 2019;

17. ქოჩაშვილი ქ., მფლობელობა და საკუთრება - ფაქტი და უფლება სამოქალაქო სამართალში, თსუ, 2013;
18. ყიფიანი ნ., საკუთრების უფლებს შეზღუდვის კანონისმიერი და სახელშეკრულებო ფარგლები, თსუ, თბილისი 2019;
19. შოთაძე თ., სახელმძღვანელო - სანივთო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“ 2011;
20. ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011;
21. ჭანტურია ლ., უძრავი ნივთების საკუთრება, შედარებით სამართლებრივი კვლევა გერმანული სამართლის მაგალითზე, სადისერტაციო ნაშრომი 1994;
22. ჭეჭელაშვილი ზ., სანივთო სამართალი, შედარებით-სამართლებრივი კვლევა მესამე გადამუშავებული გამოცემა, „ბონა კაუზა“, თბილისი, 2010;
23. ჭეჭელაშვილი ზ., მოთხოვნის დათმობა და ვალის გადაკისრება, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2008;
24. ჭეჭელაშვილი ზ., საკუთრების უფლების გადაცემა უძრავ ნივთზე. ქართული კერძო სამართლის კრებული, წიგნი I, 2004;
25. ხავთასი თ., საკუთრების უფლება საგანგებო მდგომარეობის დროს, თსუ, 2020;
26. ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, GIZ , თბილისი, 2017;
27. ჰენშელი ს., სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, გამომცემლობა GTZ, 2009.
28. Burton S. 2009. Elements of Contract Interpretation. New York. Oxford University Press;
29. Böhringer, Das Deutsche Grundbuchsystem im internationalen Rechtsvergleich BWNotZ, Heiden., 1987;
30. locke J. 'Second Treatise' in Peter laslett (ed), Two Treatises of Government (Cambridge University Press, 1988);
31. Markesinis B., Unberath H., Johnston A. 2006. The German Law of Contract. A Comparative Treatise, Second ed. Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon;
32. Matthias E. Storme. 2002. Property Law in a Comparative Perspective, seventh edition, KU Leuven Centre for Advanced Legal Studies;
33. Markesinis/Unberath/Johnsto. The German Law of Contract. 2nd Edition. (Oxford and Portland, Oregon, 2006);
34. McKendrick E. 2000. Contract Law / E. McKendrick. – 4 ed. – New York: Palgrave, XLI, 462 p. – (Palgrave Law Masters). – ISBN 0-333-79427-3;
35. Nebbia P. 2007. Unfair Contract Terms in European Law: a study in comparative and EC law / P. Nebbia. – Oxford: Hart, XIX, 225 p. – (Modern Studies in European Law). – ISBN 1-84113-594-1;
36. Schwenzer I., Kee C., Hachem Pl. 2012. Global Sales and Contract Law. Oxford, Oxford University Press;

37. Shyam G. Articles “THE LEGAL STATUS OF ANIMALS” The world rethinks its position GEETASHYAM (2015) https://doi.org/10.1177/1037969X1504000411;
38. Singer P, Animal Uberotion (Harper Collins, revised ed, 2002),10-15;
39. Schöner/Stübe, Grundbuchrecht, Band 4, Handbuch der Rechtspraxis Verlag-C-H, Beck-Mün., 15. Aufl., 2012;
40. Van V. L. 2000. Transfer of Movables in German, French, English and Dutch Law, Nijmegen;
41. Wolf M. 1999. Sachenrecht, 14.Auflage, Verlag C.H.Beck, München;
42. William Blackstone, Commentaries on the Laws of Eng/and (A Strahan and W Woodfall, 12th ed, 1794) Voi 2, 2;
43. Webster, Methods of Land Registration, University of Wisconsin, 1914;
44. Брагинский М.И. 2003. Договорное право. Кн. 1. Общие положения / М.И.
45. Брагинский, В.В. Витрянский. – 2-е изд. – Москва : Статут;
46. Василевская Л. 2004. Учение о вещных сделках по Германскому праву, издания: Статут, Москва;
47. Емелькина, И. А. 2011. Монография. Система ограниченных вещных прав на земельный участок, Ростов-на-Дону;
48. Кривцов А.С. 2003. Абстрактные и материальные обязательства в римском и в современном гражданском праве / А.С. Кривцов ; МГУ им. М.В. Ломоносова. – Москва: Статут, (Классика российской цивилистики);